

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #12) აცხადებს ტენდერს დაავადებათა პრევენციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის იმუნიზაციის კომპონენტის სტრატეგიული შრატებისა და ვაქცინების შესყიდვის ქვეკომპონენტის მიხედვით სათანადო საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: ანტიტეტანური შრატი (3 000 ერთეულიანი დაფასოების) – 1 000 ამპულა.

II ლოტი: ანტიდიფთერიული შრატი (10 000 ერთეულიანი დაფასოების) – 200 ამპულა.

III ლოტი: ანტიგანგრენოზული შრატი (პოლივალენტური 10 000 ერთეულიანი) – 100 დოზა.

IV ლოტი: ანტიბოტულინური შრატი (3 000 ერთეულიანი):

1. პოლივალენტური – 300 ამპულა;

2. ტიპი A - 300 ამპულა;

3. ტიპი B- 300 ამპულა;

4. ტიპი E- 300 ამპულა.

V ლოტი: გველის შხამის საწინააღმდეგო პოლივალენტური შრატი – 200 სამკურნალო დოზა.

VI ლოტი: ჯიღების (ციმბირული წყლულის) იმუნოგლობულინი – 50 ამპულა.

VII ლოტი: ყვითელი ცხელების ვაქცინა – 300 დოზა.

VIII ლოტი: წითელას მონო ვაქცინა (ერთდოზიანი, Schwarz შტამით) – 100 დოზა.

IX ლოტი: ყბაყურის მონო ვაქცინა (ერთდოზიანი, RIT 4385 და/ან Jeryl Lynn შტამებზე დამზადებული) – 100 დოზა.

X ლოტი: წითურას მონო ვაქცინა (ერთდოზიანი, Wistar RA27/3 შტამით) – 100 დოზა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება:

I ლოტი – 17 000 ლარი (ჩვიდმეტი ათასი) ლარი;

II ლოტი – 3 000 (სამი ათასი) ლარი;

III ლოტი – 39 000 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი;

IV ლოტი – 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარი;

V ლოტი – 26 000 (ოცდაექვსი ათასი) ლარი;

VI ლოტი – 4 200 (ოთხი ათას ორასი) ლარი;

VII ლოტი – 3 900 (სამი ათას ცხრასი) ლარი;

VIII ლოტი – 2 430 (ორი ათას ოთხას ოცდაათი) ლარი;

IX ლოტი – 2 430 (ორი ათას ოთხას ოცდაათი) ლარი;

X ლოტი – 2 430 (ორი ათას ოთხას ოცდაათი) ლარი.

3. საქონლის სრული მოცულობის მიწოდება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 2010 წლის 1 ივნისისა. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს პირობით: INCOTERMS-2000, DDP – თბილისი, უზნაძის ქ. # 76/1.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2010 წლის 22 მარტის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 150 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის # 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი # 12, მე-4 სართული, ოთახი # 413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2010 წლის 23 მარტს 10-დან 13 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან სატენდერო წინადადების წარდგენის საფასურს, 50 ლარის ოდენობით, შემდეგ ანგარიშზე: მიმღების ბანკი – ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი. ბანკის კოდი 220101757. მიმღები – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. მიმღების ანგარიშის # 10591718543.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი # 12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით – თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით – თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

6.3.1. სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა;

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში წარმოდგენილი იქნება არარეგისტრირებული პრეპარატი, მიმწოდებელმა უნდა იკისროს წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ საქონლის მოწოდებას განახორციელებს ჰუმანიტარული მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვით, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების რეჟიმების გვერდის ავლით, დაუბრკოლებლად შემოტანის უფლების გასაცემად განსაკუთრებული პირობების (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივად დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება) დადგენის შესახებ- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 13 ოქტომბრის # 327/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.3.2. წერილობითი დადასტურება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. განცხადების 6.1., 6.2. და 6.3.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

12. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს **სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე**, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი # 12, მეოთხე სართული, ოთახი # 413.

15. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-13 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შეცვლას არ ექვემდებარება.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 932294, ალექსანდრე მამალაძე, გულსუნდა

ონიანი ტელ.: **936629**, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი # **12**, მეოთხე სართული, ოთახები # **412**, # **413**.

სატენდერო კომისია